




გაბონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენსია



9 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენსია. მასზე მოწვეული იყვნენ საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთში მთელი რიგი ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. საქითბთა წრე ენებოდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც შეიძლება იყო დაკავშირებული მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებთან.

პრესკონფერენსიაში მონაწილე ზვიად გამსახურდიამ შეხვდა საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ამიტომ ერთ-ერთი პირველი კითხვა ენებოდა ამ შეხვედრის შინაარსსა და შედეგებს. აღინიშნა, რომ მთელი რიგი პრობლემების გარშემო უთანხმოების მიუხედავად გამოითქვა საერთო აზრი, რომ საბჭოთა მთელი ძალების კონსოლიდაცია რესპუბლიკური რეფერენდუმის დროს, როცა ზუსტი პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თანახმა ვართ თუ არა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

უკვე მერამდენეტი დღეა პრესკონფერენსიაზე საქითბი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ობიექტურობის შესახებ. გამსახურდიამ არ იყო ახლანდელიც. წაკითხეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ ცენტრალურ ტელევიზიის ტელევიზიამ პროგრამით „ერემია“ გადასცა დენიფორმაცია, თითქოს, ქართველი მოიერიშენი თავს დაესხნენ ცხინვალის რაიონის ხოფელ მონასტერს და მოკლეს იქ ერთი ოცი ეროვნების კაცი. სინამდვილეში თავდასხმელები იყვნენ ოცი ექსტრემისტები, რომლებმაც მოკლეს ერთი ქართველი მცხოვრები. საზგასმით აღინიშნა, რომ ცენტრალური ტელევიზიის, ისევე როგორც სხვა საკავშირო გაზეთების მიერ, ფაქტები განზრახ მახინჯდება და ხავებით კონკრეტულ მიზანს ისახავს — კიდევ უფრო გააძვივოს სიტუაცია საქართველოში და გადავიდეს მტრობა ქართველ და ოს ხალხებს შორის. ცენტრი ყოველ დღეს ხმარობს, რათა შეარყიოს ვითარება საქართველოში, რადგან, როგორც ცნობილია, მან უარი თქვა ხელი მოაწეროს სამოკავშირეო

ხელშეკრულებას და მონაწილეობა მიიღოს 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში.

კრემლის ეს მეცადინეობა თავს იჩენს აფხაზეთშიც, სადაც დისტრუქციული ძალების ზეგავლენით ამ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ცენტრის მიერ შემოთავაზებულ რეფერენდუმში მონაწილეობის შესახებ. აქ ფაქტობრივად უკვე შეიქმნა ინტერფრონტი — ბლოკი „კავშირი“, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები. საგულისხმოა, რომ მიტინგში, რომელიც მოეწყო ოპოზიციის ამ ინტერფრონტის ინიციატივით, მონაწილეობდნენ ეგრეთ წოდებული საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებიც, რომლებმაც არაერთხელ განაცხადეს, რომ უარყოფითად ეკიდებიან საქართველოში შემოღებულ პრეფექტის ინსტიტუტს, ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ საქართველოში არ არის არავითარი ეთნოკონფლიქტები, არამედ მიმდინარეობს მწვავე პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც ცენტრი ემყარება დემოკრატიისა და თავისუფლების მტრებს. ამას მოწმობს აგრეთვე სამაჩაბლოში შექმნილი ინტერფრონტის კიდევ ერთი ნაირსახეობა დროებითი საგანგებო კომიტეტის სახით, სადაც თავსაცობს ცნობილი პროვოკატორი და ორ მოძვე ხალხს შორის მტრობისა და სიძულვილის მთესველი აღან ჩოჩიყვი.

უახსუხა რა მეზობელ რესპუბლიკებთან — აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთობის თაობაზე დასმულ კითხვას, ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა მხოლოდ კონსტრუქციული უნდა იყოს. რაც შეეხება უარაბაღის პრობლემას, საქართველოს შეუძლია მხოლოდ შუამავლის, მშვიდობისმყოფელის როლი იკისროს. კონფრონტაცია დაუსველებლად კავკასიაში, რადგან ამით უფროდ იხარბებლებს ცენტრი, რათა ჩაახშოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის რეგიონის ხალხთა მიწრაფება.

დაისვა აგრეთვე კითხვა რუსეთთან შესაძლო თანამშრომლობის შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოში ბატონ ბორის ელცინის დასახული შეხვედრა გადადებულია, როგორც ჩანს იმ მიზეზით, რომ აქ კვლავ ჩაერვივნენ ძალები, რომლებმაც უკვე ორჯერ მოაწყვეს მასზე თავდასხმა. შესაძლოა, გაჩნდა მესამე თავდასხმის საშიშროება და ამიტომაც იმის ჩამოსვლა გადაიდო.

ზვიად გამსახურდიამ გააცნო აგრეთვე უარაბაღის ტერორისტულ საქართველოს დელეგაციის და მისი შეთაურის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ახათიანის შეერთებულ შტატებში ყოფნის ზოგიერთი შედეგი. სპანდორმში

ბირმა — ეს სიტყვა უმალ აღძრავს ჩვენში ალიაქოთის, ქაოსის, ურთიერთბრძოლის, მოგების და მწარე დამარცხების ასოციაციას. იგი, თითქოსდა, ქვეყნის ეკონომიკური მექანიზმის კონკურენციის მინიატურულ მოდელს წარმოადგენს. არც ერთ სხვა ორგანიზაციას არ შეუძლებს ისე ყოველსმომცველად ასახოს ბაზრის პრობლემები, ფასების გაუთავებელი ცვლილება, როგორც ეს საუკუნეების მიერ ათასჯერ გამოცდილ ადამიანის ზნე-ჩვეულებებზე, მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე აგებულ საბირეო საქმეს შეუძლია. რადგანაც ჩვეულებრივ ლოგიკაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის გზას ვაღდავართ, ბუნებრივია, ბირების არსებობის პრობლემა ეკონომიკის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ბირების საქმიანობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. დღევანდელი გაგებით პირველი ასეთი ორგანიზაციები საფრანგეთსა და პოლანდიაში XVI საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ადრე ამ სახელმწიფოებში ყოველგვარ სავაჭრო ოპერაციებს პრივილეგიული საქალაქო ბაზრობების სახით ატარებდნენ. აქ ძირითადად საქონლის მცირე პარტიები იყიდებოდა და დიდი მასშტაბის მეწარმეებს ნაკლებ მოგებას აძლევდა. ბირის შექმნით ერთგვაროვანი საქონლის დიდი პარტიებით ვაჭრობა გახდა შესაძლებელი, რაც გამყიდველს და მომხმარებელს შორის წინასწარი კონტრაქტის დადებით ხორციელდებოდა. ვაჭრებისთვის მაშინდელი ბირა შეკვეთების მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების მეტად მოქნილი სასაბაზრო ვაჭრობის საშუალებად დაიქცა. იგი უფრო პერსპექტიული ჩანდა, ვიდრე ხელიდან ხელში ყიდვა-გაყიდვის საუკუნეებამდელი პრაქტიკა. მნიშვნელოვანმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და უცხოეთის ქვეყნებთან საზღვაო კავშირების გაძლიერებამ დიდად გააფართოვა იმდროინდელი ბაზარი და ფასები სწრაფად ცვალებადი გახდა. ამ რთულ სიტუაციაში ვაჭარი მხოლოდ ბირაზე იღებდა დაწვრილებით ინფორმაციას მსოფლიო ფასების, ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნილების მატების თუ კლების შესახებ. ნელ-ნელა ბირები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობდა და საბაზრო ოპერაციების წარმატების საწინდარი გახდა.

რუსეთის სახელმწიფომ, როგორც ყოველთვის, აქაც დაიგვიანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ თუ ევროპის ქვეყნებში ბირების შექმნის იდეა სავაჭრო წრეებში მომწოდდა და ჩამოყალიბდა, რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში ამგვარი ორგანიზაციები ხელისუფლების დიქტატორული მეთოდებით, კერძოდ პეტრე I-ის განკარგულებით შეიქმნა. იმპერატორის ბრძანების ერთ-ერთი პუნქტი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბირაზე ვაჭრების ძალით მოვრკეპას ითვალისწინებდა.

სავაჭრო ურთიერთობების დახვეწისა და განვითარების შემდეგ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სასაქონლო ბირებთან ერთად საფონდო ბირებიც ჩამოყალიბდა. ამ ორგანიზაციების წარმოშობა სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის სგან აღებული დიდძალი ვალებით და სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, ასევე სამრეწველო საზოგადოებების აქციების გაჩენით იყო განპირობებული.

ამ აქციებით მანიპულირება ზოგიერთი ბირების ძირითად საქმიანობად გადაიქცა და ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. XX საუკუნის სასაქონლო და საფონდო ბირების საქმიანობა ოპერაციების მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს. მეცნიერების აზრით საბირეო მანიპულირების ეკონომიკური მექანიზმის მათემატიკური აღწერა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ურთულესი ტექნიკური სისტემის სექციების შესწავლა. მართალია, საქმისთვის რისკიან ოპერაციებს ახორციელებენ და ახარეთ მწარე დამარცხებას განიცდიან, მაგრამ საბოლოო ჯამში ბირა დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მობილურ მექანიზმს წარმოადგენს.

ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა სასაქონლო ბირების საქმიანობის შესწავლა და მათ მაგალითზე ანალოგიური ორგანიზაციების საქართველოში დაფუძნება აუცილებელია. ვიწრო სპეციალობის სასაქონლო ბირების დაარსება აამაღლებს სახელმწიფო და კერძო საწარმოების დინამიკურებას, უფრო ელასტიურს და მოქნილს გახდის საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საბაზრო და საშინაო ეკონომიკურ სფეროში სათანადოდ გარკვეული მეწარმისათუ ფერმერის ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ ბევრ საგულისხმო ინფორმაციას მოგვცემს აშშ-ს ბირ-

ეგეონი ხორბლის კულტურის მოწყვანი ფერმერები. ლიდაცკანე იყო ცნობილი. მათ ხორბალი ქალაქში ჩამოქონდათ და ფასების სწრაფად ცვალებადობის, ასევე საწყობების უქონლობის გამო ხშირად ნახევარ ფასადაც კი ჰყიდდნენ. ყოველივე ამან მრავალი ფერმერი გაკორტების პირას მიიყვანა. ეს პროცესი უფროდ ხორბლის წარმოების შემცირებას გამოიწვევდა. ასეთ დროს თავისი გადამწყვეტი სიტუაცია სავაჭრო წრეებში თქვენს — 1848 წელს 82-მა ჩიკაგოელმა ვაჭარმა ბირა დააარსა და ამით სათავე დაუდო ფერმერებსა და მომხმარებლებს შორის ვადიან ვარიეტებს. ასეთი ტიპის კონტრაქტით მწარმოებლებში მანამ ჰყიდდნენ ხორბალს, სანამ დათესავდნენ და მოიწყვდნენ მოსავალს. ამრიგად, ისინი მთელ თავის ენერჯიას კულტურის მოვლის ახმარდნენ და ძველებურად ალარ ენერჯიულობდნენ. აქედან გამომდინარე ფასებიც გამოთანაბრდა და ფერმერების დაინტერესებამ თავის ზღვარს მიიღწერა.

ამ მაგალითის განხილვისას საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის მდგომარეობა გვესმინება და ვფიქრობთ იმ წარმატებებზე, რაც შეიძლება სასაქონლო ბირის აქტიურმა მოქმედებამ მოგვტანოს. დღეს, როდესაც სავაჭრო ეკონომიკა სულს დაღვას და კონტროლს ვეღარ უწყვეს სახალხო მეურნეობის ცალ-

ბირება

ახალგაზრდული თეატრის სცენაზე — „ელისაბად, ელისაბადე!..“

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული „ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების“ (გენერალური დირექტორი — კლერი გარუჩავა), თეატრალური სტუდია (დირექტორი — მალხაზ შვანია) 16, 19, 23, 26 და 30 მარტს (19 საათზე) თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრის სცენაზე (რუსთაველის გამზირი, № 19) წარმოვიდგინეთ თამაშ

გილამის ორმოქმედებანი დრამას „ელისაბად, ელისაბადე!..“

საქეატკალის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ქუთათელაძე, რეჟისორი — თამარ ფალავანდიშვილი, მხატვარი თინათინ ზეინე, მუსიკალური გაფორმება ნატო შურვანიძის.

ბთსრმთ, გვეწვიდით!

ბთსრმთ, გვეწვიდით!

განხორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ ან-სამბლ „ეგრისის“ განცხადებაში ჩვენგან დამოუკიდებ-

ლად გაიპარა შეცდომა. კონკურსში მონაწილეთა ასაკი უნდა იყოს 17-დან 27 წლამდე.

ბლად გაიპარა შეცდომა. კონკურსში მონაწილეთა ასაკი უნდა იყოს 17-დან 27 წლამდე.




ახალგაზრდა იურული თეატრის სცენაზე



იღუპენი ფილარები

„ზნობითი ღვთისმეტყველების კონსპექტი“



რედაქცია იწვევს წერილების სახელს რაზრით —

„სამომავლო კადავრა“. მათში საუბარი იწვევს

თანამედროვეობისათვის საინტერესო მრავალ საკითხზე,

როგორცაა საკითხი, სამეცნიერო განათლების მნიშვნელობა,

სულიერი განათლების აუცილებლობა; ოჯახი და სახელმწიფო;

სამოქალაქო სამსახურის პალიტიკისათვის და სხვ. წერილები

ამოღებულია და თარგმნილი ილუმინაციის ფილარების

„ზნობითი ღვთისმეტყველების კონსპექტი“.

წერილები იკავებენ მათთვის ეკლესიის წინამძღვრის მამა არჩილის

რედაქციას.

თავი X
ქრისტიანის ზრუნვა ხელზე.
გონების განვითარება. საერო,
სამეცნიერო განათლების
მნიშვნელობა. სულიერი
განათლების აუცილებლობა.

ფსიქოლოგია ადამიანის სულის
სამ ძირითად ძალას ან უნარს
აღიარებს: გონებას, გრძობასა
(გული) და ნებას. გონებით
ადამიანი შეიცნობს
გარესამყაროს, ასევე საკუთარი
სულის გაცნობიერებულ
განცდებს. გრძობით — გულით,
ადამიანი ეპასუხება
გარემომცველი სამყაროს
ზემოქმედებას, შთაბეჭდილებებსა
და საკუთარ განცდებს, რომელთა
ნაწილი სასიამოვნოა და მოსწონს
მას, ხოლო ნაწილი, უსიამოვნოა
და არ მოსწონს. ამასთან
სხვადასხვა ადამიანებისათვის
განსხვავებულია „სასიამოვნოსა“
და „უსიამოვნოს“ განცდა. ის,
რაც ერთს მოსწონს, არ მოსწონს
მეორეს და პირიქით (აქედან
წარმოსდგება ცნობილი
გამონათქვამი „გემოვნებაზე არ
დავობენ“).
და ბოლოს, ადამიანის ნება
მისი სულის ის ძალაა, რომლითაც
იგი გადის და მოქმედებს
სამყაროში. ადამიანის ზნობრივი
სახე დიდად არის დამოკიდებული
მისი ნების ზასიათსა და
მიმართულებაზე.
ვუბრუნდებით რა ადამიანში
მისი სულიერი პიროვნების
განვითარების საკითხს, უნდა
აღვნიშნოთ, რომ საკუთარ თავზე,
საკუთარ „მე“-ზე ზრუნვისას

ადამიანმა სწორად,
ქრისტიანულად უნდა
განავითაროს ხსენებული
ნიჭიერებანი თავისი სულისა:
გონება, გული და ნება.
ადამიანის გონება, უპირველესად
და უმეტესად, მეცნიერების
შესწავლით, განათლების მიღებით
ვითარდება. და არ უნდა
ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობა
უსარგებლოდ (მით უმეტეს —
მავნებლ) მიიჩნევს ე. წ. „საერო“
მეცნიერებებს ან განათლებას.
ამ მცდარი აზრის წინააღმდეგ
მეტყველებს უძველესი
საუკუნეების ეკლესიის მთელი
ისტორია. საკმარისია გავიხსენოთ
მსოფლიოს სამი დიდი
მასწავლებელი და მნათობი:
ბასილი დიდი, გრიგოლ
ღვთისმეტყველი და იოანე
ოქროპირი. ისინი თავისი დროის
უგანათლებლესი ადამიანები
იყვნენ. ბრწყინვალედ ჰქონდათ
შესწავლილი საერო მეცნიერება,
მაშინ როდესაც ამ მეცნიერებას
გარკვეული წარმართული
ელფერი ჰქონდა. მაგრამ მათ
შეძლეს ამ მეცნიერებიდან
შეეთვისებინათ ის, რაც
სასარგებლო და საჭირო იყო,
უსარგებლო და გამოუსადეგარი
კი უარეყოთ. მით უმეტეს ახლა,
როდესაც მეცნიერებიდან გაქრა
წარმართული მინარევები და იგი
ისწრაფვის გადმოსცეს
ქრისტიანობა, უფრო მეტად უნდა
დავაფასოთ საერო განათლება.
მართალია, ჯერ კიდევ ბევრი
მეცნიერი შეცდომით თვლის,
რომ მეცნიერება ეწინააღმდეგება
რელიგიას და მეცნიერულ
ქრისტიანობებს, ცდილობს
საკუთარი ანტირელიგიური
შეხედულებები დაამატოს,

მაგრამ ამაში ქრისტიანობა
მეცნიერებას ბრალი არ
მიუძღვის. ქრისტიანობა
ყოველთვის მხარს უჭერს და
აკურთხებს მართებულ საერო
განათლებას, სადაც ყალიბდება და
და მტკიცდება აზროვნების ძალა
და ადამიანის ნიჭი.
თავისთავად იგულისხმება, რომ
ქრისტიანი, რომელიც საერო
განათლებას იღებს, კიდევ უფრო
მეტ მნიშვნელობას ანიჭებს
რელიგიურ განათლებას (და
აღზრდას). უნდა გვახსოვდეს,
რომ ქრისტიანობა სულაც არ
არის მხოლოდ რელიგიური
გრძობებისა და განცდების
სფერო, ქრისტიანობა არის
მთლიანად დასრულებული
ციკლი, მრავალმხრივი
მონაცემების, შესაბამისი ცოდნის
სისტემა, რომელიც მხოლოდ
რელიგიურს კი არა, სამეცნიერო
სფეროსაც ეხება. მართლაც,
როგორ შეიძლება, რომ,
უპირველეს ყოვლისა, ჩვენ,
ქრისტიანებმა არ ვიცოდეთ ჩვენი
მაცხოვრის ცხოვრება, მისი
სასწაულები და სწავლება, არ
ვიცოდეთ ჩვენი წმიდა ეკლესიის
ისტორია, მისი ღვთისმსახურება.
ეს ყველაფერი უნდა ვიცოდეთ
და გვესმოდეს, ხოლო ამისთვის
საჭიროა სწავლა.
ქრისტიანობის მნიშვნელობა,
როგორც ყოველმხრივი
დასრულებული მეცნიერული
სისტემისა, ვლინდება
ქრისტიანული ზნობრივი
მოძღვრების (საშუალო სკოლის
მე-6 კლასის) და სარწმუნოებრივი
მოძღვრების (საშუალო სკოლის
მე-7 კლასის) კურსებში. აქ

ქრისტიანობა წარმოგვიდგება,
როგორც უმდიდრესი
ფილოსოფიური სისტემა,
რომელიც მოიცავს და ადამიანს
განუმარტავს მთელ სამყაროს,
საკუთარ თავს და უჩვენებს მისი
ამჟვეყნიური ცხოვრების
ქრისტიანული აზრს და მიზანს.
ოლონდ, უნდა გვახსოვდეს, რომ
რელიგიურ მეცნიერებაში,
განათლებაში, როცა ადამიანი
იღებს სრულ ცოდნას საღვთო
ქრისტიანობის შესახებ და
საერთოდ, როდესაც
ქრისტიანობას შეიცნობს, იგი
უნდა ემსახუროს მას და ესმას,
ხმა მისი. იესო ქრისტე ბრძანებს
„რომელი არა არს ჩემ თანა, იგი
მტერი ჩემი არს“. განურჩევლობა,
გულგრილობა უფლისა და მისი
წმიდა ნებისადმი, მისი სჯულის
მიმართ, მის მცნებათა
შეუსრულებლობა დამლუპველია
სულისათვის, იგი ადამიანს
ქრისტეს და მისი ქრისტიანობის
მტრად აქცევს. ამიტომ არასოდეს
არ უნდა დავივიწყოთ მისი
სიტყვები: „რასა მეტყუთ მე:
უფალო, უფალო! და არა
ჰყოფთ, რომელსა მე გეტყუ
თქვენ“. მსგავსად ამისა,
მოციქულიც ბრძანებს: „რამეთუ
არა მსმენელნი სჯულისანი
განმართლდნენ წინაშე ღმრთისა,
არამედ მყოფელნი სჯულისანი
განმართლდნენ“ (რომ. მიმართ
II, 13).

თარგმნა თბილისის სახულიერო
აკადემიის ქრისტიანული
ანთროპოლოგიის კათედრაზე.



ეს ახლო წარსულში მოხდა.
როცა მძვინვარებდა ანტირელიგი-
ური პროპაგანდა. ერთ დღეს თუ-
რმე ზედა მადლიანის მაცხოვრის მე-
19 საუკუნის ეკლესიის დასანგრევად
მიადგნენ. სოფელში უჩვეულოდ
გუგუნიანდნენ ხარბები. უამრავმა
ხალხმა მოიყარა თავი ამ ზარდა-
მცემი ამბის გამო.
ხარბები მინც ჩამოუყრიათ, ხა-
ტები იავარუყვიათ, აესებულა ხა-
ლხის მოთმინების ფილა და აი,


იმავე სოფლის მკვიდრმა ქალმა
ბაბაღე ჩეჩელაშვილმა წარმოუდ-
გენელი სიმღერა და სიმტკიცე
გამოიჩინა. მან არ დაანება წამბოლ-
ველებს ტაძრის დანგრევა, ბაბა-
ღე ჩეჩელაშვილს წამსვე მომხ-
რებებიც გამოუჩინდა, ესენი იყვნენ:
ფოტიხე ჩეჩელაშვილი, ნინო ტუ-
შელაშვილი და სხვები. მაშაც
ქალმა ვაჟაყვიბიცი ამოდგომიან
მხარში — მელიტონ და კოსტა ჩე-
ჩელაშვილები, ბევლარ და გერა-
სიმე ტყეშელაშვილები. მომხდუ-


ზედა მადლიანის მაცხოვრის მკლესია (წყალტუბოს ზონა)



რებმა ახლა სკოლის აგება მოი-
მიზეზეს, მაგრამ ხალხის ნება
კვლავ უდრეკი იყო. ასე გადაურ-

ჩა სოფელ ზედა მადლიანის მაც-
ხოვრის ეკლესია დანგრევას. მარ-
თალია დარბაზული, თეთრი ფი-
ქალისაგან ნაგებ ტაძარს შემდგომ
პერიოდში მინც აკლდა მზრუნ-
ველი ხელი, სახურავიდან აწ-
ვიმდა და ათოვდა, მაგრამ წყალ-
ტუბოს ზონის ამ მშენებელი სო-
ფლის მშრომელებმა შემოდგომა-
ზე ის წესრიგში მოიყვანეს და გა-
ნახლდა ტაძარში ღვთისმსახურე-
ბა. ხალხი კვლავ უბრუნდება თა-
ვის რწმენას





(დახასრული)

ნა, დამყარდა სრული თანასწორობა, ჩვენებურად — „სოციალიზმი“. მაგრამ უცნაური რამ მოხდა: სწორედ ამას მოჰყვა ეკონომიკური კრიზისი და სახელმწიფოს დაღუპვა.

მანდვილის მიერ გროტესკული ფორმით განვითარებული იდეები ზუსტი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა იმ საზოგადოების დაღუპვისა — ამას ჩვენი თვლით ვუყურებთ — რომლის ძირითადი პრინციპი იყო თანასწორობა, ხოლო მთავარი ლოზუნგი — „ვინც არ მუშაობს, არ ჰკამს“.

მანდვილის ეკონომიკური შეხედულებანი სხვა არაფერია, თუ არა ადამ სმიტის თეორიის ძირეული არსი — თუ ყოველ ინდივიდს მიეცემა შესაძლებლობა გონივრულად მიჰყვეს თავის ინტერესს, თავის სარგებლიანობას, ეს ხელს შეუწყობს მთელი საზოგადოების გაძიდვას და აყვავებას. სმითი მოგვიანებით გააკრიტიკეს მანდვილს, თუ შეიძლება კაცმა ამას კრიტიკა უწოდოს. იგი წერდა, რომ მანდვილი არ არის სწორი მხოლოდ იმაში, რომ იგი ყოველგვარ ეგოისტურ მისწრაფებებს და მოქმედებებს „მანკიერებს“ უწოდებს. ანგარეზა მანკიერება სულაც არ არის, — წერდა იგი.

მანდვილის ნაწარმოების პრინციპებზე აგებული მეოცე საუკუნის უდიდესი ეკონომისტის — ჯონ მეინარდ კეინის ეკონომიკური ფილოსოფია.

სამწუხაროა, რომ დღეს, ოცდაათეუდი საუკუნის დასაწყისში, ჩვენი იმ პრობლემებზე გვიხედვა საუბარი, ინვალისმი სამაის წლის წინათ რომ კამათობდნენ.

— დღეს მოხახლეობასა — და თვით სპეციალისტებშიც კი გავრცელებულია აზრი, რომ საქონელი დაახლოვდა ყველა არამწარმოებელი კომპერატივი და ღარიბ მხოლოდ ისეთი, რომელსაც საკუთარი მუშაობა აქვს. ასევე უარყოფითი აზრია შექმნილი იმ კომერციულ სამუშაოებს რგოლებზეც, შუამავლობას რომ ეწვევიან. მიზეზი: თურმე ისინი პროდუქციას არ ჰქმნიან, სპეცულაციას ეწვევიან, უსწომელი შემოსავლით ცხოვრობენ და ახე შემდეგ.

ბევრს ჰგონია, თითქოს კომერციული მსოფლმხედველობას ებრძვის. სინამდვილეში კი მასობრივი ცნობიერება, ჩვენი ეროვნული თვითშეგნება მანც სოციალისტურია. ეს ისე ღრმადია სისხლსა და ხორცში გამჭდარი, რომ მის აღმოფხვრას ან ძალზე დიდი დრო — 20-40 წელიწადი დასჭირდება, ან ძალზე დიდი უბედურების — მაგალითად, მასობრივი შიმშილობის, გადატანა. რაც შეეხება თვით სპეციალისტებისა და პოლიტიკოსების თვითშეგნების სოციალისტურობას, ესაა ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და მსოფლმხედველობრივი კარბაქტილობის მიზეზი. მარქსი და მარქსიზმი მწარმოებელი, სასარგებლო შრომად მხოლოდ უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა შრომას აღიარებდა. მაგრამ აზრი ყველა ფენის — მიწათმფლობელების, მღვდლების, ჩინოვნიკების, კომერსანტების (ჩვენი ბურჟუაზია „სპეკულანტების“) მწარმოებლობისა და ეკონომიკური აუცილებლობის შესახებ დიდი ხანია დასაბუთა სმითმა, ძალ-თუსმა, კეინსმა და მრავალმა და მრავალმა სხვამ. დასავლეთის ეკონომიკურ აზროვნებაში ამ თემაზე საუბარი უკვე ისტორიაა. დღეს ამაზე კამათი ისეთივეა, ხელახლა რომ დაიწყო მტკიცება, აქვს თუ არა დედამიწას მიზეზ-დულობის ძალა. ეს ერთი მიზეზ-დულობა, კერძო ეკონომიკური პრობლემა სულაც არაა განსაკუთრებული მოვლენა დასავლური მიდგომების არაგაგნისა. ესაა ევროპული თანაცხოვრების ორბიტისაგან მოწყვეტა, „გაბაიურება“ ამ სიტყვის ანაგოგრაფიული არამედ მსოფლმხედველობრივი, უფრო ზუსტად, ყარგონული გაგებით.

დავუბრუნდეთ კვლავ ეკონომიკას. დღეს სამარცხვინია იმის მტკიცება, რომ შუამავალი, კომერსანტი, — ესაა შრომის დანაშაულები აუცილებელი შემდეგი და რომ ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით ყოველად გაუმართლებელია, მაგალითად, ხორბლის მომყვანმა თვითონვე გაყიდოს იგი, თავადვე აცხოს პურ-

ბი. ან ვინც ხორცს აწარმოებს, მანვე აყეთოს ხინკალიც.

ეკონომიკური აქტივობის დონე ბევრად და დაბალია ეროვნულ ბიუჯეტზე ეროვნულ პროდუქტში ე. წ. მატერიალურ და არამატერიალური წარმოების სფეროებს შორის თანაფარდობაზე. თუმცა, როგორც უკვე ვთხარათ, მეთოდოლოგიურად მეურნეობის ასეთი დაყოფა მცდარადაა მიჩნეული დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში. 1989 წელს საბჭოთა კავშირში შექმნილ ეროვნულ ეროვნულ პროდუქტში მრეწველობაზე მოდიოდა 32 პროცენტი, სოფლის მეურნეობაზე — 18, მშენებლობაზე — 10, მომსახურების სფეროზე (ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება და ა.შ.) — 40%. ეს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობაზე მოდიოდა 21%, სოფლის მეურნეობაზე მხოლოდ 2%, მშენებლობაზე — 5, ხოლო დანარჩენი 72% — მომსახურებაზე. ეს უკანასკნელი საბჭოთა ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვით „არამწარმოებელი“ სფეროს განეკუთვნება. ხოლო, ასე ვთქვათ, „შუქის“ გაგებით საქონლის იმ ფორმას, სადაც „არ იქმნება პროდუქცია“.

ეროვნული პროდუქტის სტრუქტურაში ამ ორ ჰევიანას შორის ასეთი პრინციპული განსხვავება, ძალზე მრავალსაშუალოა.

— მოხახლეობის ნაწილს განსაკუთრებით აღინიშნება კომერციული საქონლის მალაჩეობა. თქვენი აზრით, რამდენად ხამართლიანია ეს გულისხმობა „ვაჭრობის ამ ახალი ფორმის მიმართ“?

— პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის იმ სისტემაში, რომელიც ჩვენთან მოქმედებს, კომერციული მალაჩეობი ერთადერთია, კულტურისა და გამოგონების ხელი რომ ატყვია. განსხვავებულია დიზაინი, იგრობა, რომ იგი ვილაის კუთვნილება და ქონებას უფროსილდება კიდევ. თანაც ეს მაშინ, როცა მათი უმეტესობა სარდაფებსა და მოუხერხებელ ადგილებზეა განლაგებული.

მანამ, სანამ ისინი გაისხნებოდა, ცალკეული მოქალაქისა და ტურისტების მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი „შეზაბარზე“, კერძო ბინებში, სადარბაზოებში სპეკულანტების მიერ იყიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ ნამდვილი ომი იყო გამოცხადებული — სდგინდნენ სპეციალური ორგანოები, მაინც ვერაფერი დააკეთეს. დღეს კი ფაქტობრივად საქონლის მიქონების გახსნამ ბოლო მოუღო როგორც მყიდველთათვის, ასევე გამყიდველთათვის დამამკობელ „შინავაჭრობას“, კულტურული, ცივილიზებული სახე მისცა მას.

უფრო ორგანიზებულმა და კონკრეტულწარმოებმა კომერციულმა სტრუქტურებმა თავად დაიწყეს საქონლის შექმნასა და მის რეალიზაციაზე ფიჭი. ეს იმიტომ, რომ მრავალი მიზეზის გამო სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო და ვერც ვერასოდეს უზრუნველყოფს ამ სისტემის ეფექტიან მუშაობას. იქ, სადაც სახელმწიფოს არ შესწევს უნარი, მოაწყოს ნორმალური საქონელგაცვლა, როცა ცალკეულ სამეურნეო რგოლებში არ შეუძლიათ კომერციული ურთიერთობების დამყარება პარტიზორებთან, საქმეში ერთგვარადაა „სახალხო დიპლომატია“ — მოქალაქეთა მიერ სტიქიური საქონელგაცვლის თვითორგანიზება. მანამ, სანამ სახელმწიფო სტრუქტურები უსუსური იქნებოდა და არ აღებენ ხელს იმგვარი საქმიანობისაგან, რომელიც მათ ფუნქციებში არ შედის, ყოველთვის არსებობდა და იარსებებს „სახალხო კომერცია“. და იგი ვერაფერია ლანდვით, იდეოლოგიურა ბრძოლისა და რეპრესიების აღმო-

ფხვრება. აუცილებელია არა მხოლოდ, არამედ მათი საქმიანობის კანონიერი ფორმით რეგულირება. რეპრესიებს შეუძლია მხოლოდ ფარულ ფორმებში, იატაკქვეშეთი გადაყვანის იგი, შექმნას მისი არარსებობის ილუზია.

კომერციული მალაჩეობის წარმოქმნით მოგებული რჩება არა მარტო გამყიდველი, კომერსანტი (შუამავალი) და მომხმარებელი, არამედ სახელმწიფოც. თუ წინათ საქონლის ფარულად გაყიდვისას ბიუჯეტში კაპიტი არ შედიოდა, ლეგალურად გაყიდვისას შემოსავლების დაბეგვრის გზით ბიუჯეტში არც თუ ისე მცირე ოდენობის თანხა შემოდის.

— ხაერთოდ ვის არ აძლევს ხელს ამგვარი მალაჩეობის არსებობა?

— პირველ რიგში, მათ, ვინც შემოსავალი დაკარგა. ესენია სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა ორგანიზაციითა ის წარმომადგენლები, რომელთაც კანონგარეშე ბინების შედეგად მუდმივი „საქმე“ და „წილი“ ჰქონდათ. რაც შეეხება მასას, რომელიც ასეთი მალაჩეობის დახურვას მოითხოვს, იგი ძირითადად ფსიქოლოგიური მოტივაციით მოქმედებს — მაღალი ფასები „აღიზიანებს“, თვალს უშვავს. ფასები კი იმდენად რთული საკითხია, რომ ზედამიწური, ემოციური დასკვნები ამ სფეროში ყოველთვის მცდარია და ობიექტული წარმოდგენით ვერასოდეს გაირკვევა სიმართლე.

ჭარბობით ჩვენი ეკონომიკა ისეა მომართული, რომ თითოეული ჩვენი თავი ვერ გრძობს თავისი მდგომარეობის ცვალებადობის უშუალო კავშირს მასთან. ასეთი კავშირი კი არსებობს და საკმაოდ მჭიდრო. ისეთი უმცირესი უჭრედის დახურვაც კი, როგორცაა აქა-იქ გაჩენილი კომერციული სავაჭრო რგოლი, ბიუჯეტის სასრებზე დააკლებს, გამოათავისუფლებს მუშებს, რომლებიც ან უნდა დასაქმდნენ, ან უმუშევრობის დახმარება გადაუხადონ, კლავს კონკურენტებს, ხელუხლებელს ხლის მონომოლისტურ სახელმწიფო ვაჭრობას და ასე შემდეგ.

— ბატონო რომან, ძალიან კი გაგვიგრძელდა კომერციული მალაჩეობაზე საუბარი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ხშირად აქ ისეთი ხაქონელი იყიდება, სახელმწიფო ვაჭრობის გზით რომ უნდა გაყიდულიყო.

— ეს უკვე სახელმწიფო ვაჭრობის პრობლემაა. კომერციული სტრუქტურის თავისუფალი როგორც შექმნის, ასევე რეალიზების არჩევანში. ხოლო სახელმწიფო ვაჭრობას ჭარბობით არა აქვს უფლება გაყიდოს იქ, სადაც არ არის გათვალისწინებული. ამიტომ ასეთ შემთხვევაში დამნაშავეა არა ის მალაჩი, ვინც იყიდა, არამედ ის, ვინც გაყიდა. თუმცა, როგორც წესი, გულისწყობა სულ სხვა მხარესაა მიმართული.

ანალოგიურია დამოკიდებულება სხვა სახის კომერციული სტრუქტურების მიმართ. განსაკუთრებით ვერ იტანენ სასურსათო კომპერატივებს. მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველია შიშველი ემოცია, ეკონომიკური ცოდნის დაბალი დონე, შური. ხალხს ჰგონია, რომ საქონლის დეფიციტი კომპერატივების მიზეზითაა გამოწვეული. ელექტროენერჯის დეფიციტისა და სხვა მიზეზების გამო ამჟამად სასურსათო კომპერატივების უმრავლესობა დახურულია. მაგრამ ამან ვერც ფასები შეამცირა და ვერც დეფიციტი. პირიქით, ორივე დღითივე იზრდება.

— თქვენი ხაუბრით ზომ არ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კომერციული სტრუქტურები მხოლოდ მალაჩეობას, კანონის დაუბეგვლად მუშაობენ?

— რა თქმა უნდა, არა. კომპერატივებშიც არის მრავალი დარღვევა, ისევე როგორც მეურნეო-

ბის ყველა სხვა სფეროშიც. მაგრამ, რატომღაც, როცა კომერციული სტრუქტურებში მონაწილე სამეურნეო ერთეულებზე ლაპარაკი, დარღვევების აღმოფხვრის ერთადერთ გზად აღიზიანებული უემოქმედებას მიიჩნევენ, ან, უარეს შემთხვევაში, მათი ლიკვიდაციის მოთხოვნით გამოდიან.

კომპერატივების მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ძირითადად გამოიხატება მათ მიერ რეალური შემოსავლის დამალვაში. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის არაორფესიული, არაეფექტიანი მუშაობა და მისი კორუფციურობა.

— ხაერთოდ, ღირს კი ასეთი აფიოტაჟი კომპერატივების ირგვლივ, როცა მათი წილი შექმნილი ეროვნული შემოსავლისა და დასაქმების ოდენობაში უმნიშვნელოა?

— აქ ლაპარაკია არა რაოდენობაზე, არამედ მომავლის ტენდენციებზე. კომპერატივების მოსპობით მოკვდება თავისუფალი საბაზრო მეურნეობის და, მასთანადავ, სამოტივაციო საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეა. ამიტომ, როცა ვიცავთ კონკრეტული კომერციული, თუნდაც უმნიშვნელო სამეურნეო რგოლის უფლებებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიცავთ განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას. ესაა საკუთრების მრავალფეროვნების ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯები, დამოუკიდებელი სამეურნეო საქმიანობის ფენის ადამის პერიოდი, რომელსაც ხელშეწყობა და საკანონმდებლო გარანტია სჭირდება. ეს არაა მხოლოდ ეკონომიკური პრობლემა. საკუთრების მრავალფეროვნებას აუცილებლად მოჰყვება სოციალური ციკაცია, სხვადასხვა სოციალური ფენების გაჩენა. შესაბამისად წარმოიშობა მათი ინტერესების დამცველი პოლიტიკური ორგანიზაციებიც, რის შემდეგაც შეიქმნება ნამდვილი კლასიკური ტიპის პარტიები და განჩდება ჰემარტიკი პოლიტიკური პლურალიზმი. ამიტომ კომპერატივების კერძო პრობლემაზე კი არ არის აქ საუბარი, არამედ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე.

ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები იმდენად ღრმა და ისტერიკივით უჩინარი, რომ ერთი შეხედვით, ზედამიწურ ამოტივტივებული მხოლოდ ილუზორულ წარმოდგენას გვიქმნის რეალობაზე. ჰეგელი ამბობდა, რომ მოვლენა არსების ქაფითაა. ობიექტული სწორედ იოლად შესაძინევ მოვლენას აღიქვამს, ხოლო არსებითი სხის პროცესები მისთვის გაუგებარი რჩება.

— ის, რომ ეკონომიკაში ყველახ ბრძენს ჰგონია თავი, ბუნებრივითაა, რადგან ეკონომიკა არა მარტო შეცნობილია, არამედ თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. ყველა მტკიცებაზე „კომპერატივობა“ ამ საქმეში...

— ეკონომიკური პრობლემაების გამარტივებელი ახსნა საზოგადოების დიდი შეცდომაა. კომერციული გამოცდილება ამ სფეროში მხოლოდ ზედამიწური და სკვენების საშუალებას იძლევა. სიონისესული პრობლემები კი უარესად რთული მეცნიერების კვლევის თემაა.

ნობელის პრემიის ლაურეატმა მაქს პლანკმა, კვანტური ფიზიკის ფუძემდებელმა, თავისი საქმიანობა ეკონომისტობით დაიწყო, მაგრამ თავი მიანება ამ პროფესიას. ეს იმიტომ რომ, როგორც თვითონ ამბობდა, ეკონომიკა ძალზე რთული აღმოჩნდა. როცა ამის შესახებ თანამედროვე მათემატიკური ლოგიკის შემქმნელს — ბერტან რასელს მოუყვინ, მან თქვა: რა უცნაურია, მეც ეკონომიკურ თეორიას ვსწავლობდი და შემიყვებდი იმის გამო, რომ ძალზე მარტივი მეჩვენაო.

სწორედ მისი სირთულე-სიმარტივეთ არის განსაზღვრული ის პოტიციური შეცდომები, რომელსაც შესაძლოა, სავალალო შედეგები მოჰყვეს.

ზედამიწური აზროვნების შედეგია მასობრივი ცნობიერებაში არსებული ცრუ ეკონომიკური წარმოდგენები, რომელსაც მრავალგარემოებათა გამო, სამწუხაროდ არც თუ ისე იშვიათად ანგარიშს უწევს ხელისუფლებაც.

ხელისუფლება, რომელსაც თავისუფალი მეურნეობის დანერგვის გზით ევროპული ღირებულებების აღდგენის სურვილი და პრეტენზია აქვს, მასაზე უნდა ამაღლდეს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხელისუფლება, რომელსაც ამომრჩეველთა ნდობის შენარჩუნება სურს, აკეთებს იმას, რაც უმეტესობას უნდა. მაგრამ ეს შესაძლებელია ისეთ პირობებში, როცა საზოგადოება აღზრდილია დემოკრატიულ ტრადიციებზე, მემკვიდრეობით აქვს მიღებული თავისუფალი აზროვნებისა და მოქმედების ჩვევები, ცხოვრების დამოკიდებელი მოწყობის, თვითორგანიზების კანონიერი პირობები. ჩვენს პირობებში კი თვით ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი ახლებური ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

— თქვენი ხაუბრით სწორედ ამისკენ გამოწვეული აგიტაცია, პროპაგანდა, განმანათლებლობა, თუ რა...

— ალბათ, უფრო ეს უკანასკნელი. ამ საკითხებს ამერიკაში მეტეუთ კლასში ასწავლიან. ვერ წარმომდგინა, თუ იმ პრობლემებზე, კარგა ხნის წინათ რომ გვიხდებოდა წერა და აგიტაცია, კვლავ მოგვიწვედა საუბარი.

— თქვენი ყველა წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც წინანდელი ოფიციალური ხელისუფლების ოპონენტი. და არ ვიქნებო მართალი თუ არ ვიტყვი, რომ თქვენმა დამოკიდებულებამ ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებისადმი გარეული წვდომის შეიქმნა ახალი ეკონომიკური (შეიძლება მას „სახაზრო“ ვუწოდოთ) აზროვნების ჩამოყალიბებაში. ეს ხდებოდა საპირისპირო აზრთა კიდულში. დღეს უკვე თვითონ ხართ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელი. ხელს ხართ თქვენ ამჟამად? საკუთარი იდეებისა, მატარებელი, ოპონიცია თუ ფუნქციონერი, რომელიც ხელისუფლების ერთიანი პოლიტიკის გატარებას ემსახურება (მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არ ეთანხმებოდეს მას)?

— ძალზე რთული კითხვაა. ცალსახად პასუხის გაცემა გამიჭირდება. ისე კი ვგრძობ, რომ სანამ ის იდეები, მე რომ ვუჭერ მხარს, უმრავლესობისათვის ისევე ორგანული არ იქნება, როგორც ჩემთვის, მე ვიქნები (და, ალბათ, ვარ) ოპონიცია. ოპონიცია განსხვავებული აზრის, უმრავლესობის ეკონომიკური წარმოდგენების მიმართ. მე გგონია, ამ იდეების რეალიზაციას ხელი უნდა შეუწყოს უზენაესი საბჭო „მიგნით“ ჩემმა ყოფნამ. მაგრამ თუ დავინახე, რომ ამ იდეათა, ასე ვთქვათ, „გატანა“ უფრო ადვილი არაა „მიგნიდან“ მოქმედებით, არამედ „გარედან“, მაშინ არჩევანის გაკეთება სულაც არ გამიჭირდება.

— გმადლობთ, ბატონო რომან, მე გგონია, ხაკმაოდ გულახდილი იყავით.

— ტალირანი ამბობდა, რომ ენა უნდა გამოიყენოს არა იმისათვის, რომ შენი აზრები გამოამქვანო, არამედ იმისათვის, რომ დამოლო ისინი. მე ჭარბობით ვერ შევივთისე ეს სიბრძნე. და, ალბათ, ჩემი შინაგანი ბუნების წყალობით, ამ პრინციპით ვერც ვერასდროს ვიმოქმედებ. რაც შეეხება ამ ინტერვიუში გადმოცემის ფორმას, აქტივების დასმას... ბუნებრივია, სჯობს ისე ითქვას, როგორც უკეთ მოჰყვება შედეგი. ყველაფერს თავისი მიზანი აქვს.

— და, მაინც, რას გგონია ამ ინტერვიუსგან.

— ზოგადად საუბარებდა, ზოგი გაბრაზდება, ზოგიც რალაც ქვეტექსტებს დაუწყებს ძენას, შესაძლოა, ზოგმა თქვენც გაწყენინოთ. რას იზამთ, ასეთია ცხოვრება.

ესაუბრა მანა თუნახა.

ასეთია სსრკ-ზე



მასხარაობა

სხვა სახელს ვერ გამოვიტყობთ 8 მარტის „კომსოლოსკაია პრავდას“ წერილს — „მსხვერპლი არის, დანაშაული არ არის“. უსინდისო პასკვილია დალუპულთა სხოვნის მიმართ. საქმის გამოძიება მისულა დასკვნამდის, რომ 9 აპრილის სისხლისმსმელებს ვერ გაუთვალისწინებიათ, რომ სამხედრო ნაწილები წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. სუბიექტური და-ნაშაულის პრიზმაში გატარებული და „გაშუქებული“ გამოძიებით დადასტურებული ობიექტური გა-რემოებიანი. სუბიექტმა „ვერ გა-ითვალისწინა თავისი ქმედების საზოგადოებრივად სახიფათო შე-დეგები, თუმცა ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა“.

წერილის ავტორი ვინმე ლ. ნი-კიტინსკი ზემოთაღებული ტონით რჩევას აძლევს საქვეშინო უმადლეს საბჭოს, რათა გენერა-ლურმა პროკურორმა განიხილოს საქითი „თანამდებობის პირთა“ სხვა, უფრო მშვიდობიან სამუ-შაოზე გადაყვანისა, თუნდაც, მა-გალითად, ბავშვთა ბაგის გამგის თანამდებობაზე.

ასე დაუსრულებია გენერალურ პროკურორს ამ სისხლიანი დანა-შაულის საქმე. ვინ არიან ეს „დოკუმენტური ლიცია“, რომელ-თაც ვერ გაითვალისწინეს, რომ თუ ალესილი რკინის ნიჩბითა და მომწამვლელი სითხით აღჭურვილ მანქურთს ეტყვი — ეს იხმარეო მშვიდობიანად მლოცველთა და მომღერალთა დასახოცად, გა-ლათი მეთაური მალაი რანგისა და სისხლისმსმელი აღმასრულებ-ელი ყველაფერს იხმარს და ას-რულებს ბრძანებას ადამიანთა მოსაკლავად. ვინ არიან ისინი, რომელთაც გრძობა-გონება და-ბინდულებმა ვასცეს განკარგუ-ლება უდანაშაულოთა ხოცვა-ჟლე-ტისა, რატომ არ დაასახელა გე-ნერალურმა პროკურორმა დამნა-შავეთა გვარები, რომელთაც ბრ-ძანება ვასცეს თბილისელ მომი-ტინგეთა დახოცვის, თაობაზე. ისე გონებანაწლუნგები როგორ იყვნენ დასტურის მიმცემნი, რომ ჯარი ზალხის ამოსა...ცად გაგზავნეს და აფიჭრეს, ეს „კარი არ შეასრულ-ებდა უფროსთა ბრძანებას! თა-ნაც, როცა ჯარის უფროსი სისხ-ლი სწყ...როდა.

სეთი დასკვნა გაუტყებია იმ ორგანოს, რომლისგანაც გაქირვე-

ბულ-ვაშარებული ადამიანი და ხალხს სამართალს ელოდება! ნავრაჰ, სად არის სამართალი? მისა კარი დახურულია! „მსხვერპლი არის, დანაშაული არააო“; გავიწილა და თქმულა? შეიძლება ასეთი რამ მოხდეს სა-დმე? ამ უზარმაზარ ქვეყანას რო-გორ გადააფარეს ჩილა, რომ მტკნარ სიბნელეში სამართლის სულ მცირე შუქიც კი ვერ ატანს! მსხვერპლიც ცნობილია და დამ-ნაშავენიც ყველამ იცის ვინც ბძანდებთან. უბედურება ისაა, რომ სწორედ მათ ხელშია ჩალა, რომლითაც ისე დაგმანეს ქვეყა-ნა, შუქი კი არა, პაერცი ვეღარ იმოდრავებს.

ამის შემხედვარეს კიდევ ეუბ-ნებიან — ჩემი იყავო, საბჭოე-თის ოჯახიდან არ გახედო ვასე-ლაო, ერთად ვიყოთო.

ვისთან ვიყოთ ერთად? მკვლე-ლებთან, უსამართლობასთან, მან-ქურთან, სისხლისმსმელთან, და-მცინავთან?

„გამოცდილება არა ჰქონდათო!“ ვის არ ჰქონდა გამოცდილება და რა გამოცდილება არ ჰქონდათ? სისხლის ტბის დაყენებისა, ძალა-ღობისა, ცეცხლის ხმარების გა-მოცდილება არა ჰქონდათ? ავლა-ნისტანი არ იდო წინ, აღმოსავ-ლეთი ევროპა არ იდო წინ? გა-რეული საქმეების მოხმობა რა საქიროა, განა საბჭოთა დამჯელი ძალებისა და ორგანოების გამო-ცდილებაც არა ჰქონდათ?

უზენაესმა ორგანომ თავისი სი-ტყვა უნდა თქვას პროკურორის დასკვნაზე. ახლავე ჩანს, რასაც იტყვის ეს ორგანო. კენჭს უყრიან ვინაა მომხრე, ვინაა წინააღმდე-გი, თავი ვინ შეიკავა გენერალურ პროკურორის დასკვნასთან დაკავშირებით.

თვალმოქუტული ლუკიანოვი იტყვის: „დავითე გოლოსოვაც“ და ამით დასრულდება 1989 წლის 9 აპრილის ოდისეს!

„დანაშაული არის, დანაშაუე-ნი არა!“

მიდი, ნოკალი კაცი, წაუკიდე ცეცხლი ქვეყანას, ნუ გეშინია, პასუხს ვინ მოგთხოვს?!

ასეთი „სამართალი“ რყვის ქვეყანას და ხალხს.

ღმერთო, გვიშველე და დაგვი-ხსენ ბოროტისგან.

სოლომონ ხატიშვილი

მიმდინარე წლის 18 მარტს, 14 საათზე, განათლების სამინისტროს შენობაში, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება და საქართველოს განათლების სამინისტრო ატარებს ყმაწვილთა და მო-ზარდთა აღზრდის საკითხებთან დაკავშირებულ თათბირს.

დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებებს ვთხოვთ მიიღონ მონაწილეობა.

თათბირი ჩატარდება განათლების სამინისტროში, მინისტრის მო-ადგილის ქ-ნ ათო კოტეტიშვილის კაბინეტში.

დაწერილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ რუსთაველის საზოგადოებაში.

ტელ: 99-61-99, 99-97-99, 93-58-99.



თქოზანო

მოქალაქეთა და ორგანიზაციათა საყურადღებოდ!

ინჰარეთი უშიქინეთ „ივანტაანის“ აქციები!

აქციები დაიცავს თქვენს სახსრებს მოსალოდნელი ფულადი ანაზრებისა და ფონდების ანაზრისაზე გაყინვისაგან აქციები უშიქინეთ რო-გორც ნაღდ ანაზრისაზე ისე გადაიტყვით. აქციების ნომინალური ღირებუ-ლება ათასი მანეთი, ათი ათასი და ასორიოდდაათი ათასი მანეთი.

აქციების უშიქინეთი უპირველესობა ენიჭება „ივანტაანის“ კლიენტებსა და მენაზრებებს!

ინჰარეთი გაყინულ ანაზრებს უოველთვის ჯოგია ვომარავი აქციები!

ინჰარეთი უოველწერად თქვენ უშიქინეთ მიიღოთ არანაკლებ 10% მოგება (დივიდენდი)!

ჩვენი მისამართი: 380008 ქ. თბილისი ჯორჯიაუზვილის ქ. 14.

ტელეფონი: 99-52-40, 99-57-21.

25 მარტს საქართველოს დედაქალაქში იმართება მანიფესტაცია

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის დამფუძ-ნებელი კრების ორი წლისთავთან დაკავშირებით 1991 წლის 25 მარტს, ორშაბათს, კინოს სახლის წინ, შოთა რუსთაველის მოედანზე, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით, დღის ოთხ საათზე იწყება სახალხო მანიფესტაცია. გაიმართება მიტინგი, რომელზეც ყურადღება გამახვილდება უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებზე:

- 1) შიდა ქართლში შექმნილი უადრესად დაძაბული მდგომარეობა;
- 2) აფხაზეთის პრობლემა;
- 3) 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს სახელმწი-ფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ;
- 4) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგე-ნის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა;
- 5) პრეზიდენტი და ტელევიზიის თავისუფლების რეალიზაცია;
- 6) შავი ზღვის ეკოლოგიური და გეოპოლიტიკური პრობლემები. აღნიშნული საკითხების გარშემო მიღებულ იქნება შესაბამისი მი-მართებები.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მოუწო-ლებს ყველა ქართველს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ აქციაში.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

ამერიკის უშიქინეთი უბატონის პრეზიდენტს ბატონ ჯორჯ ბუშს, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიმართ

ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს ეროვნული დამო-უკიდებლობის პარტია მოგესალ-მებათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მეთაურს და გიცხადებთ მორალურ თანად-გომას ისტორიული თვალსაზრისით იმ უადრესად დიდმნიშვნელოვან საქმეებსა და ბრძოლებში, რომე-ლსაც აწარმოებთ თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით ამერიკის შე-ერთებული შტატები თანამერიკო-ვე ცივილიზაციის გადასარჩენად, დღესამდინავე თავისუფლების, სამა-რთლიანობისა და დემოკრატიის გამარჯვებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა გამოვხატო ჩვენი სიხარული და აღფრთოვანება იმ ქვეშაირად დი-დი კეთილშობილური ძალისხმევის გამო, რომელიც თქვენ და თქვენმა ქვეყანამ გამოიჩინეთ ერის მიერ ოკუპირებული ქუვეითის განთავი-სუფლებებისათვის. ჩვენ მივესალმე-ბით ამერიკის შეერთებულ შტა-ტებს, ანტიერაყული კოალიციის ყველა ქვეყანას, მთელ დემოკრა-ტიულ სამყაროს, ყველას, ვინც კი დაგმო და ვინც დაუპირისპირდა ერის მიერ სუვერენული ქუვე-ითის მიმართ განხორციელებულ სისხლიან და შეიარაღებულ აგრე-

სის და იმ უდაოდ გმირულ და სამართლიან ომში, რომელსაც ამ-ერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით მრავალეროვნული ძალები აწარმოებდნენ არა-ბეთის ცხელ უდაბნოებში, მთელს თავისუფალ და დემოკრატიულ სა-მყაროს ვულკანით ბრწყინვალე და გარდუვალ გამარჯვებას. საქა-რთველოს ეროვნული დამოუკიდე-ბლობის პარტია აქტიური მომხ-რეა არამარტო ქუვეითის განთა-ვისუფლებისა, არამედ აგრესორის დასჯისა. სწორედ ამიტომ მიგვა-ჩნია აუცილებელი პირობად მოცე-მულ რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ნორმალიზა-ციისთვის სადამ ჰუსეინის სისხლი-ანი რეჟიმის სრული და უსიტყვო-ლოკვიდაცია, რაც ალბათ დამას-რულელები ეტაპი იქნება მიმდი-ნარე ომისა.

ბატონო პრეზიდენტო! გვინდა გაუწყოთ, რომ ქვეყანა, რომელ-საც საქართველო ჰქვია და რომ-ლის ერთ-ერთი არაოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიაა, არის ოკუპირებული და ფაქტობრივად ანექსირებული რუ-სეთის მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის მიერ და აქედან გამომ-დინარე, კრემლი ისეთივე აგრესო-რია საქართველოს მიმართ, როგ-ორც ერეკლე ქუვეითის მიმართ, ოლ-ონდ იმ განსხვავებით, რომ კრემ-ლის აგრესია 70 წელია რაც გრძე-ლდება, რამეთუ 1921 წლის თე-ბერელის მიწურულიდან იღებს სათავეს. დღეს საქართველოში მიმ-დინარეობს ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ისა-ხავს მიზნად. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არის ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელი მოძრაობის ერთ-ერთი სუ-ლისჩამდგმელი და მთავარამომ-

რავებელი ძალა საქართველოში. რომელიც ეროვნულ-სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღდ-გენას ესწრაფვის, რაშიც გულის-ხმობს 1921 წლის თებერვლიდან მომდინარე საბჭოთა აგრესიის სრულ აღკვერტს საქართველოში და ერთა ლიგის მიერ დე ფაქტო და დე იურე ცნობილი საქართვე-ლოს დემოკრატიული რესპუბლი-კის რესტავრაციას. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, რომ საქართვე-ლოს განთავისუფლების პროცესი მშვიდობიანი წინააღმდეგობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის სტრატეგიას, რისი დიდი გამოც-დილებაც უკანასკნელი ორი წე-ლიწინანების მანძილზე შეიძინა ჩვენმა პარტიამ და საერთოდ სა-ქართველოს ეროვნულმა მოძრაო-ბამ. ამიტომ ჩვენი პარტიის მთე-ლი ძალისხმევა მიმართულია იქი-თ თვენ, რომ ქართველმა ხალხმა თავისი უადრესად მშვიდობიანი, მაგრამ უკომპრომისო ბრძოლით მოიპოვოს მთლიანი დემოკრატი-ული საზოგადოების მხარდაჭერა, რათა საერთაშორისო სამართლის წინაშე ოფიციალურ დონეზე და-ისვას საქართველოს მიმართ საბ-ჭოთა აგრესიის აღკვეთისა და სა-ხელმწიფოებრივი დამოუკიდებ-ლობის აღდგენის საკითხი, რაც ითვალისწინებს:

- 1) ფაქტობრივი ანექსიის აღკ-ვეთა და საქართველოს აღმინის-ტრაციულ-ტერიტორიული გამო-სვლა საბჭოთა იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრე-ბის შემადგენლობიდან;
- 2) საქართველოს სრული დეო-კუპაცია — საბჭოთა იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ქარებისა და შეიარაღებული ძა-ლების აბსოლუტური შემადგენ-ლობით გაყვანა საქართველოდან;
- 3) დენეკისიისა და დეოკუპაციის განხორციელების დაწყების შემ-დეგ 1921 წლის თებერვალში მი-

ღებული საქართველოს კონსტი-ტუციის ამოქმედება და საბჭოთა აგრესიის შედეგად შეჩერებული საქართველოს დემოკრატიული რე-სპუბლიკის აღდგენის გამოცხა-დება.

საქართველოს ეროვნული დამო-უკიდებლობის პარტია მიზნად ისა-ხავს რა თავისუფალი და დემო-კრატიული საქართველოს შენე-ბას, იგი აქედანვე ორიენტაციას იღებს დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებზე და თავის პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის იმ პრინცი-პით, რომ დეოკუპაციისა და დე-ანექსიის შემდეგ საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწი-ფო, გახდეს ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის წევრ სახე-ლმწიფო და რაც მთავარია სამხე-დრო-პოლიტიკური მოკავშირის სტატუსით მიღებულ იქნას ჩრდი-ლოეთ-ატლანტიკის ხელშეკრუე-ბის ორგანიზაციაში.

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენი ბრძოლა საქართველოს განთავისუ-ფლებისათვის სამართლიანია. გამ-ოვთქვამ იმდეს, რომ ჩვენ გავიმა-რჯებთ ამ ბრძოლაში.

ღმერთო, ფარავდეს თავისუფალ სამყაროსა და თავისუფლებისათ-ვის მებრძოლ ძალებს!

საქართველოს ეროვნული და-მოუკიდებელი პარტიის სახე-ლით:

ირაკლი წამბეთი, თეზარ სუშიაშვილი, თორნიკე ფიჭია, მამუკა ცაგარელი, ვანო სომეხია, მარბა იაშვილი, რომანტ ბირკა, იან, ავანტი გომელაძე, ვალერი კალანდარიანი, ვახტანგ საბითი, ვანო ტალახაძე, ლევან ჰანი, თორნიკე ონიანი, შარგან კაკაბერიძე.

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

მისამართი: ბუდაბეშტის ქ. №1
ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ყვიდი“, „ყვიდულობ“, „გასწავლი“, „გაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შევასწავნებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

გსურთ მიიღოთ ტელეგადაცემა თანამგზავრის საშუალებით?

შეიძინეთ კოორპერატივი „გორდა“-ს საინფორმაციო გამოშვება, სადაც თქვენ გაეცნობით: სად და როგორ, რა ფასებში შეიძინოთ სატელევიზიო თანამგზავრის მიმღები ანტენა? აქ მოყვანილია კოორპერატივის, ფირმებისა და საწარმოების მისამართები, რომლებიც აწვდიან, ჰყვიდიან ან აგზავნიან მიმღებ ანტენებს. აგრეთვე ის საწარმოები, რომლებიც გზავნიან მაკომპლექტებულ დეტალებს, რაც უფრო იაფი ჯდება. გამოშვების ღირებულებაა 8 მან. კოორპერატივი საჭიროების შემთხვევაში გაგიწევთ საშუაშუალო მომსახურებას ანტენის შექმნაში.

რა არის სათანამგზავრო ტელევიზია? როგორ გამოვიანგარიშოთ საჭირო დიამეტრი მიმღები ანტენისათვის? როგორი უნდა იყოს ანტენა პარაბოლური თუ პლანარული? როგორ შევადგინოთ სქემები კოლექტიური მიღებისათვის? საინფორმაციო გამოშვებაში მოყვანილია საზღვარგარეთის თანამგზავრების სიმძლავრის დონეები, მომსახურების ზონები, რეტრანსლატორის სიხშირეები, სატელევიზიო სტანდარტები. აქ თავმოყრილია ყველა ის შეკითხვა თუ ინფორმაცია, რაც ამომწურავ პასუხს გაგცემთ აქამდე თქვენთვის უცნობ სფეროში წამოჭრილ პრობლემებზე. გამოშვების ფასია 14 მან. საინფორმაციო გამოშვება გამოგვეგზავნებათ მას შემდეგ, რაც საფოსტო გზავნილთ მივიღებთ აღნიშნულ თანხას მისამართზე: 383230 ქ. ლაგოდეხი, რუსთაველის ქუჩა № 89, კოორპერატივი „გორდა“.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

უცხო ენათა შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ

კოორპერატივი „შუამავალი 88“ გთავაზობთ სწრაფ შემსწავლელ კურსებს ფსიქოლოგთა დახმარებით ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ებრაული „იბრიტული“ ჯგუფების დაკომპლექტება მთავრდება 31 მარტს.

ჯგუფები სწავლას შეუდგებიან 1 აპრილიდან. სწავლის ვადაა 3 თვე. მეცადინეობას წაუძღვებიან მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები და ფსიქოლოგები. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სალაშოს 6 სთ-დან 10 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის ქ. 89. 89-ე საშ. სკოლა ტ. 89-21-78

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

მცირე საწარმო „მთებში“

სამუშაოდ იწვევს სხვა და სხვა სპეციალობის (დურგლებს; ელექტრიკოსებს; შემდეგლებს; მწნეხავებს და სხვა) — ახალგაზრდებს, როგორც სამუშაოს სტაჟის ჩათვლით, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე.

შრომის ანაზღაურება მოხდება გამომუშავეებით (450-დან 800 მანეთამდე). ცნობისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 39-48-27 (10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე). მისამართი: ალ. ყაზბეგის პროსპ. №44 (ფოფილი პავლოვის ქუჩა).

კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო გამოშვებითი ცენტრი **გთავაზობთ**



— წიგნების —

— გაზეთებისა და ჟურნალების —

— რეკლამებისა და ბლაკატების —

— ბლანკების —

აწყობა — დაკაბადონებას.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები უახლესი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით თქვენს დაკვეთას დროულად და უნაკლოდ შეასრულებენ.

აწყობა-დაკაბადონება ხდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე თქვენს მიერ შერჩეული შრიფტებით. ცენტრი შემოგთავაზებთ შრიფტების ფართო არჩევანს.

ჩვენი მისამართი: თბილისი. წერეთლის 130.
ტელეფონი: 85-26-44

სამუშაოდ ვიწვევთ

ქართულ ენაზე მბეჭდავეებს, რომლებიც იმუშავენ ხელშეკრულებით მათთვის სასურველ დროს. ცნობებისათვის დარეკეთ 35-26-44

ჩვენი მისამართი: წერეთლის 130.

იმიღება ფერადი ქსეროქსი

„CANON FC-2“

როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ

ანგარიშზე. დარეკეთ 37-78-45.

ამჯერად ლიფტების სამმართველო...

იმ ორგანიზაციათა რიცხვს, რომელთაც ხანდაზმული ინვალიდების ჰირ-ვარამის გამოხარების სურვილი გამოთქვას, ქალაქის ლიფტების სამმართველოს შრომითი კოლექტივიც შეუერთდა. ამ უკანასკნელთა მოსაკითხს ჩვენს ყველაზე უქონელ თანამოქალაქეებს ასოციაცია „კითარზის“ სათნოების ორდენის წევრები ამ შაბათს ბინებზე მიაწვდიან. სათნოების ორდენი ჰუმანიტარული ასოციაცია „კითარზისი“